პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური ორგანო

კომუნისტი

თბილისი.

ქართული წიგნის პალატა ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები საერთო—დღისა 14—76. სტამბის—დამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

კვირა. 15 მაისი. 1921 წ

№ 60 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 60

ცეკას სააგიტაციო—საპროპაგანდო განყოფილებისაგან

საქართველოს კომპარტიის ცეკას სააგიტაციო—საპროპაგანდო განყ. აცხადებს, რომ ამა წლის 17 მაისიდან რაიონებში გაიმართება კომპარტიის წევრების კრება, რომელზედაც იქნება გაკეთებული მოხსენება—„ამხ. ლენინის წერილი და კომპარტიის მიზნები საქართველოში“.

I რაიონში—ნაძალადევის თეატრი—ხუთშაბათს 19 მაისს, სალამოს 6 საათ. მოხსენებას გააკეთებენ ამხ. 1) მახარაძე, 2) დუმბაძე, 3) კურულაშვილი და 4) კალანდაძე.

II—ჩუშათა ცენტრალური კლუბი, ოთხშაბათს 18 მაისს, სალამოს 6 საათზე—მომხსენებელი: 1) ელიავა, 2) კალანდაძე და 4) ქავთარაძე.

III—მე-III ბიუროს შენობა, ხელთის მოედანი № 1. სამშაბათს 17 სალამოს 6 საათზე. მოხსენებას გააკეთებენ: 1) ნაზარეთიანი, 2) ტოროშელიძე, 3) ატაბეკოვი.

IV რაიონი—ადგილი ნაჩვენები იქნება ცალკე. კვირას 22 მაისს დილის 11 საათზე. მოხსენებელები: 1) თუმანიშვილი, 2) დონენკო, 3) ერემომიშვილი, 4) კალანდაძე.

ყველა ამხანაგები ვალდებული არიან დაესწრონ კრებას. შესვლა შეუძლიანთ მხოლოთ პარტიულ წევრებს.

ცეკას სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.

26 მაისისათვის

19[illegible]ის მაისის 26 ს მაშინ არსებობის ამიერ-კავკასიის სეიმმა თავი დაშლილად გამოაცხადა და იმავე დღეს, ამ მომენტიდან იქცა თვით ადრე საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ ამორჩეულმა ეროვნულმა საბჭომ საქართველო დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკათ აღიარა. ამით მიეცა დასაწყისი ჩვენი ქვეყნის ეგრედ წოდებულ დამოუკიდებლობას და ჩვენ ვუახლოვდებით, დღეს არსებულ ახალ სოციალ-პოლიტიკურ პირობებში, ამ დამოუკიდებლობის მესამე წლის თავს. ეს უკანასკნელი გარემოება განსაკუთრებულ ბეჭედს ასვამს, როგორც ამ დღესასწაულსა და მის შინაარსს, ისე ჩვენ დამოკიდებულობას მასთან.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლიუციამ ვერ მისცა როგორც ასეთმა დაკმაყოფილება დამონებულ შრომას და ვერ შეიტანა ამავე მიზეზის გამო რადიკალური ცვლილება „ხალხთა საპყრობილეში“, რომელსაც წარმოადგენდა თავის ისტორიის გრძელ მანძილზე რუსეთის ძველი იმპერია. პირველი მახარობელი, როგორც სოციალური ისე ეროვნული განთავისუფლების შეიქნა დიდი ოქტომბრის პროლეტარული რევოლიუცია და მხოლოდ მან დააყენა მკვიდრ ნიადაგზე როგორც შრომის, ისე ეროვნული პრობლემის გადაჭრა. სწორედ ამ რევოლიუციამ დასვა კითხვა ძველი ბურჟუაზიული ეკონომიკის ყოფნა-არყოფნის შესახებ და ეს გარემოება შეიქნა პირველი და უმთავრესი მიზეზი თავდაპირველად კავკასიის რუსეთისაგან მოწყვეტისა, რადგან დიდი რევოლიუცია ემუქრებოდა მოესპო აქაც ბატონობა იმ საზოგადოებრივი წრეებისა და პოლიტიკური ჯგუფების, რომელნიც იმ დროს სარგებლობდენ გავლენით რუსეთის პერიფერიებში, კერძოდ ამიერ-კავკასიაში ბეგ-აღალარებისა და ყველა ბურჟუაზიული კლასების, მათი მეთაურობის მუსავატელების, დაშნაკცების და მენშევიკების სახით, ამნაირათ მიეცა დასაწყისი ოდესღაც გაერთიანებული რევოლიუციონური ფრონტის დარღვევს და ქვეყანას მოექცნენ სათავეში ის ძალები, რომლებიც მატარებელი არიან კონტრ-რევოლიუციის და ეროვნული შეულახავობის. ასეთ პირობებში შეკოწწებული ამიერ კავკასიის სეიმი, რომელიც უნდა ყოფილიყო თითქოს განსახიერება ამ მხარის გაერთიანების და მისი ფედერატიულათ მოწყობის, როგორც ამის განძახვა ჰქონდათ ზოგიერთ მის შემადგენელ ჯგუფებს, ბუნებრივათ უნდა დაშლილიყო პირველი სერიოზული გამოცდისათანავე და 1918 წლის მაისის 26-ს მხოლოდ ფორმალურათ მოხდა ის, რომლის ფაქტის წინაშე დაიყენა ამიერ-კავკასიის ერები მათი მაშინდელი მეთაურების მეოხებით რუსეთისაგან გამოთიშვამ. მინდობილი იმ საზოგადოებრივ წრეებზე, რომლებიც თავის წოდებრივი და კლასური მიზნების განსახორციელებლათ მუდამ იბრუნებდენ პირს იმ ძალებისკენ, რომლებზე დაყრდნობით შეეძლოთ, მათი ანგარიშით, თავი გადაერჩინათ რუსეთის სოციალისტური რევოლიუციის მიერ მათი პრივილეგიის გამანადგურებელი გავლენისაგან, ამიერ კავკასიის ხალხებს, ბოლომდი უნდა გადაერათ გზა ერთი ერთმანეთისაგან ძალებითი გათიშვისა, განცალკევების, რომელ პროცესსაც დასწყისი მისცეს წითელი ოქტომბრის შემდეგ. ამიერ-კავკასიის საერთო რევოლიუციონური ფრონტის დაშლის, ამიერ-კავკასიის გამოყოფის და მის დანაწილების დასაწყისში სძევს ამ ქვეყნის შეძლებული კლასების და მათი ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტიების დროებითი გავლენა მშრომელ მასებზე და ამ პირობებში გამოცხადებული „დამოუკიდებლობაც“ გაგებული უნდა ყოფილიყო უმთავრესათ ამ ძალების კლასიური მიზნების თვალსაზრისით და გამოყენებული მათივე საზოგადოებრივი ინტერესებისათვის. ეს ასეც ხდებოდა მანამდი, სანამ თავის ბედ იღბლის გამომწვევათ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს სათავეში არ მოექცა მათი მშრომელი მასები და თავის ჭეშმარიტი ინტერესების გამომხატველი პარტია და სწორეთ საგარეო პოლიტიკა დიდ იმპერიალისტურ ძალებზე ორიენტაციის, რომელიც დამახასიათებელი შეიქნა ყველა ამ რესპუბლიკებისა და მათ შორის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის განსაზღვრებოდა იმ შინაური პოლიტიკით, რომელიც მდგომარეობდა ბურჟუაზიულ კონსერვატიზმში და მისი ძალების ბრძოლაში სოციალისტური რევოლიუციის წინააღმდეგ. შემდგარი ამ გზაზე კერძოთ საქართველოც შეიქნა დამოუკიდებელი სოციალისტური რევოლიუციის მომძრავებელ ძალებისაგან და სრულიად დამოკიდებული ყველა ამ რევოლიუციის წინააღმდეგ ამხედრებული კლასებისაგან. „დამოუკიდებელი“ საქართველო მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით შეიქნა იარაღათ საერთაშორისო და რუსეთის კონტრ-რევოლიუციისა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები, და შავი რუსეთის კონტრ-რევოლიუცია ე. ი. ის ძალები, რომლებსაც თავის სისხლიანი ტახტი ხანგრძლივ უშენებიათ და დღემდი შეუნარჩუნებიათ პატარა ერების დამონებით და იძლევიან დღესაც, როგორც თავის ქვეყნებში, ისე შორეულ ახალშენებში, მაგალითს პატარა ქვეყნების ერების ჯალათობისას, გამოდიოდენ „ფაქტიურათ“ და „იურიდიულათაც“ ამიერ კავკასიის ერების, კერძოთ ჩვენი ქვეყნის „დამოუკიდებლობის“ დამცველებათ. და ასეთი მათი „გულუხვობა“ ვითარდებოდა რუსეთის რევოლიუციის და მისი გავლენის განვითარებასთან ერთად მსოფლიოში, რაც საგონებელში აგდებდა და აგდებს დღესაც ჩვენი დროის ფართო გზის ავაზაკებს.

ასეთი იყო 26 მაისის დამოუკიდებლობა“ მენშევიკური საქართველოსი, მაგრამ ასეთი ადარ იქნება 26 მაისის დამოუკიდებლობა ჩვენი ქვეყნის, რომლის ფაქტიური შეიქნა დღეს მისი მშრომელი ძალები საბჭოთა რეჟიმის დროშის ქვეშ.

საქართველოს მშრომელი ხალხი, მისი რევოლიუციონური მთავრობა და კომუნისტური პარტია აღნიშნავენ [illegible] ყინის დამოუკიდებლობის დღეს, განთავისუფლებულს იმპერიალისტური კონტრ-რევოლიუციისა და მისი აგენტების ბრძყინვალებიდან.

წითელი დროშით ხელში ჩვენ ვიზეიმებთ მას, როგორც პირველ ჭეშმარიტ დღესასწაულს ჭეშმარიტად დამოუკიდებელ საქართველოსა და ჩვენ მოვუწოდებთ ამხანაგებს ამ ზეიმში მხურვალე მონაწილეობის მისაღებათ.

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 პრილობა

ამხ. სმიგლის თანამოხსენება პარტიული აღმშენებლობის შესახებ.

სმიგლი. ამხანაგებო! ამხ. ბუხარინის მიერ ყრილობაზე წარმოდგენილი რეზოლიუცია რომ შეესაბამებოდეს მის სიტყვას და იყოს ამ უკანასკნელის გამოხატულება,—ჩემი მუშაობა საგრძნობლად გაადვილებული იქნებოდა. არსებითად, იგი თავის რეზოლიუციას არ იცავდა, და ის, რაც მასშია დაწერილი, არას შეეთხვევაში არ არის ის, რასაც იგი ლაპარაკობდა. მე მას საგანგებით ვეთანხმები, რომ მის პროექტს არ განუცდია გავლენა კრონშტადტის ზარბაზნების გრგვინვისა. მე ვფიქრობ, რომ რეზოლიუციაში გაუთვალისწინებელია არა მარტო ეს მომენტი, არამედ მთელი რიგი სერიოზულ მომენტებისა, უკანასკნელ დროის მოვლენებისა ამ რეზოლიუციაში არ არის გათვალისწინებული, ამიტომ ესაა რეზოლიუცია, რომელიც გამოხატავს თვენახევრის წინად არსებულ მდგომარეობას, და არას შემთხვევაში დღევანდელ დღეს.

ამხანაგებო! თუ პარტიაში აქვს ადგილი არა ჯანსაღ წვრილ-ბურჟუაზიულ მოვლენებს, თუ გვიხდება მათი აღნიშვნა წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიის ჩვენზე საერთო გამოლაშქრების ფონზე, მაშინ, ეჭვს გარეშეა, ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ იმ ლიბერალურ პოლიტიკით, რომელსაც გვაწვდის ამხ. ბუხარინი.

მე მგონია, რომ ჩვენ ეხლა უნდა წარმოვადგინოთ ზოგადი შეფასება ჩვენი პარტიისა საბჭოთა რესპუბლიკაში. რასაკვირველია, ბევრმა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენ ოპოზიციის პარტია ვიყავით, ამ ხნის განმავლობაში მოხდა უდიდესი მნიშვნელობის მეტად მრავალი პროცესი. ეს პროცესები ორ გვარია: შინაური და საგარეო. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ბრძოლის მსვლელობას პროლეტარიატის რევოლიუციონური მარქსისტულ ფრთისას ოპორტუნისტულ პარტიებთან, რომლებმაც რუსეთის რევოლიუციაში მიიღეს სახელწოდება რევოლიუციონურ დემოკრატიის პარტიებისა,—ჩვენ საკმაო გარკვეულობით შეგვიძლია სამი ხანის აღნიშვნა. პირველი ხანა: ეს, როდესაც ორი ფლანგი ებრძოდა ერთი მეორეს, დაახლოვებით ისეთი იდიური შინაარსით, რომ ერთის მხრით იდგა დამფუძნებელი კრება, მეორეს მხრით—საბჭოები. თქვენ იცით, რომ ჩვენ გავანადგურეთ ჩეხოსლოვაკები, და კოლჩაკის დიქტატურამ ეს პერიოდი დაამთავრა. მეორე ხანა გაიშალა ბრძოლის უფრო მაღალ საზოგადოებრივ საფუძველზე ნამდვილ, ჭეშმარიტ საბჭოებისათვის, დემოკრატიის დაცვისათვის, არჩევნებისათვის. თქვენ თუ გაიხსენებთ მარტოვის სიტყვებს საბჭოთა მე-7 ყრილობაზე, ესერების პლატფორმებს, მირონოვის აჯანყებას და ამ აჯანყების იდეიურ შინაარს, მაშინ დაინახავთ, თუ ვინ ხელმძღვანელობდა მას. ჩვენში ამას უპირდაპირდებოდა მტკიცე საბჭოური რეჟიმი, ფორმალური დემოკრატიზმი და კონსტიტუციიდან გადახვევაც, მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა გამარჯვებისათვის, რომ, რათაც არ უნდა დაგვჯდომოდა, დაგვცვა მუშურ გლეხური რესპუბლიკა. ეს იყო მეორე პერიოდი—და კონტრ-რევოლიუცია დამარცხებულ იქნა.

ეხლა, ამხანაგებო, ომი გათავდა, ცხოვრებამ სავსებით გაამართლა ის პარტიული რეჟიმი, რომელიც დამყარდა ომის პერიოდში. მაგრამ, ამხანაგებო, ბრძოლა ამ ოპორტუნისტულ მიმდინარეობასთან არას შემთხვევაში არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. მე ვამტკიცებ, რომ ეს ბრძოლა ისევ დაიწყება, მაგრამ მხოლოდ უფრო მაღალ საზოგადოებრივ ურთიერთობის საფუძველზე და ეხლა იგი უკვე იწყება ჩვენი პარტიის შიგნით რ. კ. პ. საფუძველზე. ყოველი პროვინციელი დელეგატი, რომელიც მონაწილეობდა საარჩევნო კამპანიაში, ამას დაადასტურებს, და ეს სავსებით საბუთებია. თქვენ მშვენივრად იცით, რომ რევოლიუციის განმავლობაში გაკოტრდნენ ჩვენი მოწინააღმდეგენი—მენშევიკები და ესერები, მაგრამ გაკოტრების შემდეგ ისინი არ დაკარგულან, არ გამქრალან ლურჯ ეთერის სივრცეში.

ამ პარტიების აქტიური ძალ ელემენტებმა დარწმუნდნენ რა თავის პარტიების ტაქტიკის სიყალბეში, ხეტიალის რამოდენიმე ხნის შემდეგ, მასიური ჯგუფებით იწყეს გადმოვლა ჩვენს პარტიაში. და ეხლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარდა მეთაურებისა, რომელთათვის, რასაკვირველია, პოლიტიკური თვითმკვლელობის ასეთი გზა ნაკლებად მისაღებია, გარდა ამ პარტიების კონტრ-რევოლიუციონურ ზედაპირებისა, პარტიათა წევრების საგრძნობ ნაწილმა რომელიც ოდესღაც მტრულად იყო ჩვენდამი განწყობილი,—ეხლა ჰპოვა ადგილი რ. კ. პარტიის წიაღში. ამხანაგებო, მე დარწმუნებული ვარ, რომ არას შემთხვევაში არ ვნებს ამ პროცესს არ მიუდგება პოლიტიკური ეჭვის თვალსაზრისით. ეს საეჭვო არ არის. მაგრამ, ამხანაგებო, აგრედვე უეჭველია ისიც, რომ მხოლოდ ერთ ფაქტს თავისი პარტიიდან გავლისა და ჩვენს პარტიაში შემოსვლისას არ შეეძლო ერთბაშად მოეშორებინა ისინი თავისი პარტიის კულტურისაგან, რომელიც მუშავდებოდა ათეულ წლობის განმავლობაში. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ ჩვენი პარტიის ფარგლებში კიდევ ბევრ ხანს მოგვიხდება კომუნისტური ხელახალი აღზრდას დიდი ყურადღება და ენერგია მოვანდომოთ. ეს უეჭველია. თუ კი, ამხანაგებო, კიდევ გავიხსენებთ, რომ ეს პროცესი სწარმოებდა მთელი ქვეყნის საშინელი გალატაკების ფონზე, ასეთასეულ ახალ წევრების მიღება ხდებოდა პარტიულ კვირეების განმავლობაში, ხოლო ამ ასეთასეულებიდან პროლეტარული ელემენტი მეტად მკრთალი იყო,—მაშინ დავინახავთ, რამდენათ სერიოზულია ეხლა მდგომარეობა ჩვენს პარტიაში. და ამიტომ, რბილი პოლიტიკა, რომელსაც გვირჩევს ამხ. ბუხარინი, ჩემის აზრით, არ შეეფერება ჩვენი მდგომარეობის საშიშროებას და სერიოზულობას. ამხანაგებო, ეხლა რამოდენიმე სიტყვა შინაგან პროცესებზე, რომელიც სწარმოებდა ჩვენს პარტიაში ამ ხნის განმავლობაში. მე ვსწერდი ჩემს წიგნაკში „На повороте“, რომ ეხლა არ არსებობს ერთიანი ტიპი პარტიის წევრებისა, რომელიც იყო ჩვენში თებერვლის და თვით ოქტომბრის გადატრიალებამდე. მას შემდეგ, რაც ჩვენი პარტია მმართველი გახდა, ცხოვრებამ პარტიას მრავალი ამოცანები წამოუყენა. პარტიული პროპაგანდისტის მაგივრად, რომელიც იმავე დროს იყო ჩვენში უწინ უნივერსალური დილეტანტი ყოველ დარგში, რესპუბლიკამ და რევოლიუციამ მოგვთხოვა ისეთი ადამიანების წამოყენება, რომელთაც შეუძლიათ სახელმწიფოს მართვა და დაიწყო უდიდესი პროცესი დიფერენციაციისა, პარტიის წევრების შერჩევისა ამ როლისათვის მათი გამოსადეგობის თვალსაზრისით. ჩვენში გაჩნდნენ მუშაკნი სამხედრო, სასურსათო, განათლების, ტრანსპორტის, ერთი სიტყვით, რომელიც გნებავთ, გაჩნდნენ მეტად სხვა და სხვა ჯგუფები. და სრული სიმართლეა, რომ ამ ნიადაგზე ყოფილი ერთიან-განწყობილების არ შეეძლება დაცული ყოფილიყო. ამ სიძნელეთ, ამხანაგებო, ემატება სიძნელენი იმ რიგისა, რომ ჩვენს პარტიაში გაჩნდნენ ამხანაგები, რომელნიც სდგანან საბჭოთა წყობილების მაღალ საფეხურებზე, მმართველნი, პასუხისმგებელი საბჭოთა მუშაკები, კომისრები, სპეციები, უფროსები და სხ. სერიოზულ საპასუხისმგებლო ადგილებზე წამოყენებული იყვნენ სრულიად ბუნებრივად პარტიის უფროსი წევრები, პოლიტიკურად უფრო მომზადებულნი გამოცდილნი, მეორეს მხრივ, პარტიის ჩვეულებრივი წევრების უმრავლესობას სათანადო პასუხისმგებლო ადგილი არ უკავია. აი, ამხანაგებო, ის რთული პროცესი, რომელიც მოხდა ჩვენი პარტიის შიგნით. ანხანაგებო, თუ ეხლა ჩვენ ავიღებთ და დავაკვირდებით, რანაირად ვითარდებოდა ჩვენი პარტია, აქ ჩვენ შევეჩეხებით იმას, რასაც ამხ. ბუხარინი სამხედრო პერიოდს უწოდებს, მან ის დაახასიათა მშვენივრად საერთოდ და მთლიანად, და მისი სიტყვის ამ ნაწილს მე ვერაფერს მივუმატებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ სამოქალაქო ომის ხანამ შექმნა თითქო შინაგანი სამოქალაქო ზავი. რამოდენიმედ მოდუნება სამოქალაქო ცხოვრებისა და ურთულესი პროცესი, რომელიც სწარმოებდა ჩვენი პარტიის შიგნით. მან გამოიწვია, ერთის მხრივ, ჩვენი პარტიული რიგის დანაწილება, მეორეს მხრივ, სხვა პარტიების უდიდესი რაოდენობის შთანთქმა და შემოსვლა ჩვენს პარტიაში პარტიის მრავალი ასიათასეულ ახალგაზრდა გადაუხარშავ წევრებისა. ყველაფერ ამან შექმნა ის ფონდი, რომელზედაც გაიშალა შინა-პარტიულ ცხოვრების შემდეგი ამბები. როდესაც ჩვენ 1920 წ. რამოდენიმედ გადავსწიეთ ფარდა ჩ შევხედეთ, თუ რა კეთდებოდა ჩვენი პარტიის შიგნით, დავინახეთ, რომ ამ სამოქალაქო ზავის წყალობით, რომელმაც თითქო შებოჭა პარტიის საზოგადოებრივი ცხოვრება, ამ აუცილებელმა პროცესმა მმართველი პარტიის ზრდისა მიიღო პარტიის შიგნით ავადმყოფი და მახინჯი ფორმები. ერთის მხრივ მიუთითებდნენ იმაზე, რომ ჩვენში საბჭოთა დაწესებულებებმა ბიუროკრატიული ხასიათი მიიღო, მრავალ ბიუროტმოქმედებას ჰქონდა ადგილი, დიდი იყო უწყებათა შორის უთანხმოება, და სრულიად ბუნებრივი და უდავო, რომ ამის არ შეეძლო არ გამოეწვია მთელი პარტიული მასსის სამართლიანი პროტესტი. მეორეს მხრივ, შეიქმნა ისეთი ისტორიაც, რომ რამდენადაც ეს ბრძოლა ზედა პირებზე და ფენებზე იშლებოდა ჯერ კიდევ კომუნისტურად ცუდად აღზრდილ და მოუბარშავ ფართო პარტიულ მასსაში,—მივიღეთ გასაოცარი გადაჭარბებანი, იქმნებოდა ლეგენდები, და პარტიული ცხოვრება დაშლის გზას დაადგა.

და ეხლა ჩვენ დავდექით პარტიული კრიზისის წინაშე, რომელსაც პარტიის მე-10 ყრილობამ მეტად დიდი ანგარიში უნდა გაუწიოს. სექტემბრის კონფერენცია ამ საკითხს პირდაპირ მიუდგა და გამოიტანა გარდაწყვეტილებათა მთელი წყება, რომელნიც უეჭველად ხელს უწყობენ ჩვენს პარტიაში ჯანსაღი დასაწყისის განმტკიცებას. მაგრამ სამწუხაროდ, ამხანაგებო, ზოგიერთი საკითხის ფორმულობა არ იყო ფართოდ შედგენილი, რამაც უფრო გაიძლიერა შინა პარტიული ბრძოლა და ორგანიზაციებს არაფერი კარგი არ მისცა. მართო იმას, რომ თვით საკითხები ცენტრალურ კომიტეტისაგან იყვნენ წამოყენებული განსახილველად ყველა ორგანიზაციებში. დასმული იყვნენ ისეთ ორგანიზაციებში, რომლებშიც უწინ ასეთები არ განიხილებოდა,—აქ ქონდა თავისი უარყოფითი მნიშვნელობა. მე შევჩერდები ერთ მუხლზე, რომ თეორიულად მოვარჩიო საკითხს თანასწორობასა და განთანასწორებაზე. როდესაც მე შევადარე ის, რაც სწერია ამ მუხლის გამო სექტემბრის კონფერენციის რეზოლიუციაში, იმასთან, რაც სწერია მოსკოვის რეზოლიუციაში და იმასთან, რაც დასწერა ამხ. ბუხარინმა თავის რეზოლიუციაში,—აღმოჩნდა უდიდესი განსხვავება.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

საბჭოთა საქართველო

გრუკავშახტას დეპეშები

ზუგდიდის მაზრის რევკომების და პარტკომების სალამი.

რევკომის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძის სახელზე მიღებულია შემდეგი ტელეგრამა: 5 მაისს შესდგა გაერთიანებული კრება ზუგდიდის მაზრის რევკომების და პარტკომების წარმომადგენლებისა. კრებამ დაადგინა, რათა თქვენის სახით მიესალმოს საქართველოს რევკომს და გთხოვთ განაგრძოთ დაუღალავი მუშაობა მუშათა კლასის საკეთილდღეოთ. გაძლევთ ფიცს, რომ ჯანაკნელ სისხლის წვეთამდე ვემსახურებით იმ კომუნისტურ იდეას, რომლის განხორციელება მიანიჭებს მუშებს თავისუფლებას და ბედნიერებას.

კრების თავმჯდომარე **მაშფორია.**

მდივანი **შელია.**

სავაჭრო საქონლის გაცვლა.

გარეშე საქმეთა კომისარიატის ინფორმბიურო იუწყება, რომ 8 მაისს კონსტანტინოპოლიდან ბათომში მოვიდა გემი „გიორგი“ იტალიის მაირაღლით. გემზე 105 ტონნა ტვირთი იყო: ფქვილი, შაქარი, საპონი და რძე. ეს ტვირთი ეკუთვნის ამერიკის წითელ ჯვრის მოვიდა ავგრეთვე 15 მგზავრი, რომელთაგან 7 ამერიკის მისიის წევრია.

დღეს ნოემერში:

რუსეთში ახლო მომავალში მოწვეული იქნება კომუნისტური პარტიის კონფერენცია.

11 მაისს შესრულდა 40 დღე ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვის დაწყებიდან. გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო 5 მილიონ მუშამ.

მემაღაროეთა გაფიცვის შედეგები: ზარალი უდრის 50 მილ. სტერლინგს, ძალზე შემცირებულია რკინის გზის მოძრაობა. მოსალოდნელია ეკონომიური ცხოვრების ხრული დაშლა.

უმუშევართა რიცხვი ინგლისში უდრის 2 მილიონ კაცს, ხოლო ერთი მილიონი ხულ ცოტა ხნით მუშაობს.

ინგლისში ძლიერდება კომუნისტური მოძრაობა, განსაკუთრებით ჯარის ნაწილებში.

გერმანიაში შესდგა ახალი კაბინეტი.

გერმანიის ახალმა მთავრობამ მიიღო ანტანტას ულტიმატუმი.

ზემო-სილეზიაში კომუნისტური მოძრაობა ფართო ხასიათს იღებს: მუშებმა დაარსეს საბჭოები, ხელში ჩაიგდეს მაღაროები, გაინაწილეს მიწები.

---

8 მაისს ბათომიდან გავიდა 2 გემი: „ლოტერ-ბოლევი“ სოხუმში, ინგლისის ბაირაღ ქვეშ, ტვირთით და 7 მგზავრით და „კონსტანტინოპოლი“ იტალიის ბაირაღ ქვეშ—კონსტანტინეპოლში მგზავრებით და ხე-ტყის მასალით.

სანოვაგის მომარაგება ბორჩალოს მაზრაში.

ზულავერი. 11 მაისი (დეპეშით). ბორჩალოს სამაზრო სასურსათო კომიტეტი აშაგა სერალის სადგურზე ენერგიულ მუშაობას ეწევა საკლავ საქონლის შეძენის საქმეში. დღემდე შეძენილია საქონელი 1000 სულამდე. ყველა ეს იგზავნება თბილისში. მცხოვრებლები დიდს დახარებას უწევენ სასურსათო კომიტეტს, რომელიც ფულის ნაცვლად მცხოვრებთ აწვდის სხვა და სხვა აუცილებელ საქონელს. მცხოვრებლები სიამოვნებით იძლევიან საქონელს. მცხოვრებთა შორის მარილისა და ხავთის დიდი საჭიროებაა. ამიტომ საჭიროა ამ სანოვაგის მოწოდება მათთვის. შულავერში უკვე მოეწყო რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო კომუნა, შესდგა ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირი და საქალებო განყოფილება. მათი სამუშაო განყოფილებისათვის გადადებულია საფონდო მამულებიდან 10 დესეტინა მიწა. საქალაქო განყოფილებამ დაამუშავა 10 დესეტინა მიწა. დათესეს უმთავრესათ სიმინდი მოსავსახურეთათვის და ულარიბეს მცხოვრებთათვის.

შაბათობა ჭიათურაში.

ქუთაისი. 11 მაისს. (დეპეშით). მაისის 7, პარტიულმა კომიტეტმა ჭიათურაში გამართა გრანდიოზული შაბათობა, რომელსაც პარტიული ამხანაგების გარდა უპარტიოებიც დაესწრენ. შაბათობაში მონაწილეობა მიიღო 150 კაცმა. ამათ შორის ყვნენ კომუნისტი ქალები, რომელნიც გულ-დადებით შეუწყვეტლათ მუშაობდნენ 4 საათის განავლობაში, საბავშვო ბაღში და სხვა ადგილებში. მუშაობა ინტერნაციონალის მღერით მიმდინარეობდა. მუშაობის გათავების შემდეგ, ამხ. ღოღობერიძემ და ბურჯანაძემ წარმოსთქვეს სიტყვა შაბათობის ხნიშვნელობის შესახებ. მხიარული და კმაყოფილი შაბათობის მონაწილენი ინტერნაციონალის მღერით დაიშალნენ.

შაბათობა სამტრედიაში.

მაისის 6, რევკომის და სააგიტაციო პუნქტის დადგენილებით, სამტრედიის სადგურზე გამართულ იქნა შაბათობა, რომელსაც 63 კომუნისტი დაესწრო. გასაცალეს ზღვის ქვით დატვირთული 25 პლატფორმა, მუშაობამ გასტანა 3 საათს და მოიტანა 260,000 მან. ეკონომია.

საბჭოთა რუსეთში

გრუკავროსტას დეპეშები

რუსეთის კომუნისტურ პარტიის კონფერენცია.

მოსკოვი. 12 მაისი. (რადიო). რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ დაადგინა, მოიწვიოს სრულიად რუსითის პარტიული კონფერენცია—საოლქო კომიტეტების, საოლქო ბიურორების, ცეკას, საგუბერნიო კომიტეტების, არმიის პოლიტ განყოფილების, ოლქების და ფრონტების თითო თითო წარმომადგენელთაგან შემდგარი. კონფერენციის წესრიგი შემდეგია: სასურსათო ბეგარა, ადგილობრივი საქონლის გაცვლა გამოცვლის გაძლიერება, წვრილი მრეწველობის გადიდება და სამრეწველო წარმოება.

სოფელთან საქონლის გაცვლა-გამოცვლა.

პეტერბურგი, 9 მაისი. (რადიო). პეტერბურგის საბჭომ მოისმინა მოხსენებანი კოოპერაციასა და საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ. პროექტის თან ხმად საქონლის გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობის მიმღებნი 4 ჯგუფათ იყოფიან: 1) წარმოებანი, რომელნიც გადასაცვლელ საგნებს ამზადებენ; 2) რომელნიც ამზადებენ გადაცვლის კერძო საგნებს; 3) წარმოებანი, რომელნიც ამ შესაძლებლობას მოკლებულნი არიან და 4) დაწესებულებათა და წარმოებათა მოსამახურენი და საფაბრიკო-საქარხნო წარმოებანი, რომელშიაც მუშაობენ არა ნაკლებ 500 კაცისა. არსდება ადგილობრივი კოოპერატივი. იკრიფება ფულის ფონდი კოოპერატივისთვის. შეუდგენენ საქონლის ფონდის შექმნას.

ყრუ-მუნჯთა საყურადღებოთ

მოსკოვი 12 მაისი (რადიო). მაისის 20 მოსკოვის კომიტეტის ბინაზე დიდი დიმიტროვის ქ. №15 შესდგება სრულიად რუსეთის ყრუ მუნჯთა აქტიურ მუშაკთა კონფერენცია. დღიური წესრიგის კითხვები კონფერენციაზე გამოქვეყნდება.

პროფკავშირების მე-4 ყრილობის წინ.

მოსკოვი. 12 მაისი. (რადიო). პროფკავშირების მოსკოვის საგუბერნიო საბჭოს თავმჯდომარემ ლოზოვსკიმ თავისი აზრი გამოსთქვა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა მიზნების შესახებ. მეურნეობის დარგში, ლოზოვსკის აზრით, გადაშინჯულ უნდა იქნეს სასწრაფო საშუალებათა პრინციპი და გზა გამოინახოს დიდ მრეწველობის დასაცავად იმ პირობით, რომ წვრილი წარმოება გაძლიერდეს საომარ-საქარხნო ომის ხანაში მომარაგების მთავარ დარგად... (გამოტოვებულია). ეხლა პირველ საშუალებად უნდა გამონახულ იქნეს წარმატება დიდ ინდუსტრიისა და მზადება ფართო მოხმარების საგნეულთა წარმოების საშუალებების.

თესვის კომპანია.

დონის-როსტოვი. 12 მაისი. (რადიო). თესვის საქმემ სამხრეთ აღმოსავლეთში ნაყოფიერად ჩაიარა. რაც კი დახნული იყო, სათესლე მასალის მიხედვით, მთლად დათესილია. ჯეჯილი ყველგან ჩინებულია. პერმის გუბერნიაში თესვის კომიტეტმა ბრძანება გასცა, რომ ყოველ 100 მოსახლეზე 2 დესეტინა კარტოფილი მოთესონ.

მოსავლის პირი.

მოსკოვი. 12 მაისი. (რადიო). როგორც უკვე შეგვატყობინეს, ცენტრალურ შავი მიწის გუბერნიებში საანეულო ჩრდილოეთის მდგომარეობა საშუალოზე უკეთესია. უკანასკნელი ცნობებით წვიმამ საგრძნობლად გაუმჯობესა საანეულო მოსავალი, ქ. ტომირის და პოლოცკის გუბერნიებში. მოსულმა წვიმამ გაზაფხულის სახნავი მიწა გააკეთილშობილა. ჩარიცხული იქმნ ბიან კავკასიელ შრომის არმიაში, რომელიც მუშაობს შრომის სახალხო კომისარიატის მიზნების განსახორციელებლათ.

საქონლის გაცვლის მოწყობა

როსტოვი 3 მაისი (დეპეშით) როსტოვში საგარეო ვაჭრობის განყოფილებამ ხელშეკრულება დასდო ამერიკის ვაჭრობის ფირმასთან, რომლის თანახმად ხსენებულმა კამპანიამ, ამ უახლოეს თვეების განმავლობაში უნდა მიიტანოს არა ნაკლებ 35 მილიონ ფრანკათ ღირებული საქონელი, სხვა საქონელზე გადაცვლის მიზნით.

საზღვარგარეთის საქონელი.

პეტერბურგი, 30 აპრილი. (ტელეგრაფით). პეტერბურგის საბაჟოში მოვიდა 2 ვაგონი საქონელი საზღვარგარეთიდან, მათ შორის 58 ცალი ბავშვების ტანისამოსია და ფეხსაცმელი (კავროსტა).

რუსი სამხედრო ტყვეები.

როსტოვი. 3 აპრილი. (დეპეშით) ამ დღეებში, სტამბოლიდან ოდესით მოდის 1000 რუსი სამხედრო ტყვე, რომლებმაც გამოსთქვეს საბჭოთა რესპუბლიკის შრომის ფრონტზე დაუყონებლივ წასვლის სურვილი. სამხედრო ტყვეები ჩარიცხული იქმნ ბიან კავკასიელ შრომის არმიაში, რომელიც მუშაობს შრომის სახალხო კომისარიატის მიზნების განსახორციელებლათ.

საქონლის გაცვლის მოწყობა

როსტოვი 3 მაისი (დეპეშით) როსტოვში საგარეო ვაჭრობის განყოფილებამ ხელშეკრულება დასდო ამერიკის ვაჭრობის ფირმასთან, რომლის თანახმად ხსენებულმა კამპანიამ, ამ უახლოეს თვეების განმავლობაში უნდა მიიტანოს არა ნაკლებ 35 მილიონ ფრანკათ ღირებული საქონელი, სხვა საქონელზე გადაცვლის მიზნით.

საზღვარგარეთის საქონელი.

პეტერბურგი, 30 აპრილი. (ტელეგრაფით). პეტერბურგის საბაჟოში მოვიდა 2 ვაგონი საქონელი საზღვარგარეთიდან, მათ შორის 58 ცალი ბავშვების ტანისამოსია და ფეხსაცმელი (კავროსტა).

რუსი სამხედრო ტყვეები.

როსტოვი. 3 აპრილი. (დეპეშით) ამ დღეებში, სტამბოლიდან ოდესით მოდის 1000 რუსი სამხედრო ტყვე, რომლებმაც გამოსთქვეს საბჭოთა რესპუბლიკის შრომის ფრონტზე დაუყონებლივ წასვლის სურვილი. სამხედრო ტყვეები ჩარიცხული იქმნებიან კავკასიელ შრომის არმიაში, რომელიც მუშაობს შრომის სახალხო კომისარიატის მიზნების განსახორციელებლათ.

საზღვარ-გარეთ

გრუკავროსტას დეპეშები.

გერმანიის ახალი მთავრობის განცხადება.

ნაუენი. 12 მაისი. (რადიო). ახალმა მთავრობამ განუცხადა რეიხსტაგს, რომ იღებს ანტანტის მიერ წარმოდგენილ ულტიმატუმს, რადგან მხოლოდ საქმით და არა სიტყვით გერმანია დაარწმუნებს ანტანტას თავის კეთილ ნდობიერებაში. ამის შემდეგ სოციალისტურ უმრავლესობის დეპუტატმა ვოლფმა განაცხადა, რომ ულტიმატუმის ასრულების და მიღების პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პარტიებს, რომელთა უმრავლესობა მომხრე იყო ომის გაგრძელებისა და გადასახადების გადიდებისა. ცენტრის სახელით ტრიმბორნმა განაცხადა, რომ ცენტრის პარტიებმა გადასწყვიტეს ულტიმატუმის და გერმანიის განიარაღების ყველა ვალდებულების მიღება. სახალხო პარტიის სახელით დოკტორმა ტრეზმანმა განაცხადა, რომ სახალხო პარტია ფარჰყოფს ულტიმატუმს.

კენჭის ყრის შემდეგ გამოირკვა, რომ რეიხსტაგი 221 ხმის უმრავლესობით 175 ხმის წინააღმდეგ იღებს ულტიმატუმს. გერმანიის ფინანსიური წრეები თავის სრულ კმაყოფილებას გამოსთქვამენ ულტიმატუმის მიღების გამო, მხოლოდ ზოგიერთი ბოეწველები პირიქით აცხადებენ, რომ გერმანიის მთავრობა დანაშაულს სჩადის ულტიმატუმის მიღებით.

გერმანიის ახალი მთავრობა.

ლონდონი. 12 მაისი. (რადიო). გერმანიის ახალი მთავრობის შესახებ ფრანგული გაზეთი „პტი პარიზიენი“ შემდეგს სწერს: „ამ მომენტში გერმანიის ახალი მთავრობა საუკეთესო კომბინაციას წარმოადგენს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალა - უფლება ჰელფერიხის, შტრიზენისა და ლიუდენდორფის ხელში გადავიდოდა უსათუოდ. გაზეთის აზრით, ახალ-კანცლერი ვირტს შეიძლება სრულის ხდობით ვუცქიროთ. ის ჯერ კიდევ ძველი მთავრობის დროსაც მომხრე იყო პარიზის პირობების მიღებისა. დოქტორი ვირტი პირობების მიღებისა. დოქტორი ვირტი აშკარა და პირდაპირი მტერია ყველა ნაციონალისტებისა. ახალ მთავრობას აზრათ აქვს მსხვილ მრეწველობის საწინააღმდეგო კომპანიის დაწყება, ვინაიდან ის სასტიკი მტერია საერთაშორისო მშვიდობიანობისა. მსხვილ კაპიტალისტების შესავიწროებლად ვირტს განზრახული აქვს სათანადო ზომების მიღება.

გერმანია და ანტანტა.

ნაუენი, 12 მაისი (რადიო). ლონდონში და პარიზში მყოფ თავის ელჩებს გერმანიის მთავრობამ მიანდო აცნობონ მათ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს ულტიმატუმის მიღების შესახებ. ინგლისის ელჩმა უკვე აცნობა ეს ამბავი ინგლისის პრემიერა. ასეთივე განცხადება გადაეცემა რომს, ბრიუსელს და ტოკიოს სათანადო მთავრობათათვის გამოსაცხადებლად. ბერლინში მყოფ თანამშრომლებს საანტანტო კომისიის თავმჯდომარე ნოლდე, თანახმად ულტიმატუმისა, უსათუოდ მოსთხოვს გერმანიის ახალ მთავრობას ცხენოსან და ფეხოსან ჯარისკაცთა გაძიარაღებას დღიდან მაისის 30 დე. მოკავშირეთა კომისია ამ ჟამად არკვევს ომის გამომწვევ დამნაშავეთა კითხვას და ახლო დღეებში კიდევაც ჩამოაყალიბებს თავის მოთხოვნილებას ლაიპციგის სასამართლოს შედგენის შესახებ. ელჩთა კონფერენციამ უნდა მოისმინოს საერთო მოხსენება ხელშეკრულობის ყველა იმ მუხლის შესახებ, რაც გერმანიას ჯერ არ აღუსრულებია.

ინგლისში ბრძოლა მუშებთან.

მოსკოვი. ინგლისის გაზეთები იუწყებიან დაწვრილებით ქვანახშირის მრეწველობის დაფიცვის სვლის შესახებ „დეილი ჰერალდის“ იუწყება, ლიიდ ჯორჯი ყოველ მხრივ აგროვებს რა ჯარსა და ტანკებს ინგლისში, აცდილობს, რომ ცივილიზაციის ყოველგვარ ორგანოსების ამოწურვით შეებრძოლოს მუშებს. სატრანსპორტო მუშათა ფედერაციამ რეზოლიუცია გამოიტანა, რომელშიაც არის ნაჩვენები, რომ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა ვერ შეძლებს კონფლიქტის მოგვარებას, ანუ მწარმოებლებსა და მთავრობა მოლაპარაკების განახლებაზე უარს იტყვის, სატრანსპორტო კავშირის დელეგატები მოუწოდებენ თავის წევრებს მუშაობის შეწყვეტისაკენ, მიუხედავად იმისა, თუ რა შედეგები მოჰყვება მას.

საერთო მდგომარეობის საკითხის შესახებ შესდგა აღელვებული სხდომა თემთა პალატისა, სადაც მთავრობის სახელით გამოვიდნენ ლოიდ ჯორჯი, რობერტ ხორნი, რობერტ ... ხადა რომ, მუშათა კონტრ... გენა ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან ეს მიადვნებს მწარმოებელთა ენერგიას და კერძო ინიციატივას ჩაკლავდა. ამ გვარ განცხადებით გამოვიდა ლიიდ ჯორჯიც.

მუშათა პარტიის სახელით გამოვიდა კლაისი, რომელიც განაცხადა, რომ მუშებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ შეუთანხმდენ მწარმოებელთა წინადადებებს, რომელიც მოითხოვს სამუშაო ხელფასის 50 პროც. დაწევასა. მუშებს არა დარჩენიათ რა გარდა იმისა, რომ განუცხადონ მთავრობას: „მიმართეთ უფალ ღმერთს და თვით თქვენ დაიმუშავეთ ნახშირი მაღაროში. მომუშავენი სრულიად მართალნი არიან, როცა ამბობენ, რომ მათ დაუძლურებისაგან სიკვდილი უჯობთ მუშაობისაგან სიკვდილს. მაღაროში მომუშავენი, რომელთაც არა სურთ შემცირებული სამუშაო ხელფასის მიღება, ჰპოვებენ დახმარებას მთელ შეკავშირებულ მუშათა ლასში.

„დეილი ნიუსი“-ს ცნობით სამხრეთ უელსში და შორჩესტერში კიდევ რამოდენიმე მაღაროა წყლით წალეკილი. ლანკაშირში მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც დაიჭრა ოფიცერი და პოლიციმენი და მაღაროები დაინგრა. გაზეთი პესიმისტურად არის განწყობილი და არსებულ კრიზისს უკავშირებს ბრიტანიის მრეწველობის არეულსა და ქაოტიურ მდგომარეობას. გაზეთი „მორნინგ პოსტი“ გარკვევით ხსნის მოძრაობის პოლიტიკურ და რევოლიუციონერ ხასიათს. საკითხი ნათლად სდგას: კონსტიტუციონური მონარქია, თუ კომუნიზმი. გაზეთი „დეილი ჰერალდის“ აზრით მუშათა გამოსვლა არის პირველი დაწყებული ბრძოლა ინგლისის შრომისა კაპიტალიზმთან.

ნახშირის განაწილება.

მანჩესტერი. ინგლისის მთავრობამ თავის ხელში აიღო ყველა ნახშირის მარაგის განაწილება.

საჰიფათო მდგომარეობა ინგლისში

